საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბესარიონ ალავიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი:

თარიღი:

30/11-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ბესარიონ ალავიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ბესარიონ ალავიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ბესარიონ ალავიძის „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შესაფასებლად, წინამდებარე დასაბუთებაში დეტალურად არის განხილული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. რა დროსაც, ვიხელმძღვანელე კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	

			საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებებითა და მახასიათებლებით. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მივიჩნიე, რომ იგი თითოეული კომპონენტის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად. შესაბამისად, გავაკეთე დასკვნა, რომ ბესარიონ ალავიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		☒	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	ბესარიონ ალავიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი უმეტესად სწორად ახდენს სამართლებრივი ნორმების გაანალიზებას, მათი მიზნისა და შინაარსის დადგენას. იგი საჯარო მოსმენაზე ღიად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე და მოჰყავდა კონკრეტული მაგალითები საქართველოს

[1] საქმე #ას-677-638-2011; 24.09.2012წ., საქმე #ას-1701-1685-2011; 22.10.2012წ., საქმე #ას-979-940-2014; 10.09.2015წ., საქმე #ას-319-302-2017; 28.07.2017წ., საქმე #ას-85-81-2017; 27.10.2017წ., საქმე #ას-1109-2018; 13.05.2019წ., საქმე #ას-705-705-2018; 23.12.2019წ., საქმე #ას-259-259-2018; 30.06.2020წ., საქმე #ას-877-2019; 03.07.2020წ.

			უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. თუმცა, რიგ შემთხვევებში კანდიდატი, დასმული შეკითხვების გათვალისწინებით, ვერ ახერხებდა სრულყოფილი და ამომწურავი სამართლებრივი მსჯელობის განვითარებას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	16	20	კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. ამასთან, ბესარიონ ალავიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის თანმიმდევრული, ლოგიკური და იგი კარგად არის დასაბუთებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატი ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას უმეტესად ახერხებდა საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად გადმოცემას.
წერის უნარი	20	20	ბესარიონ ალავიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, იგი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ნათელი, თანმიმდევრული და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატი არის გაწონასწორებული, თავდაჭერილი და კორექტული. მას აქვს გამართული მეტყველება და აზრს ძირითადად აყალიბებს თანმიმდევრულად და ნათლად. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას საკუთარ პოზიციას ბესარიონ ალავიძე გადმოსცემდა ღიად და თავისუფლად.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	ბესარიონ ალავიძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. ამასთან, სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 იანვრის პერიოდში ბესარიონ ალავიძის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 872. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მას 956 დღეში დასრულებული აქვს 1181 საქმე, რაც კარგი მაჩვენებელია.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მიზნით, მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	5	5	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. იგი მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის არის სპეციალური სალექციო კურსის თანაავტორი და სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ ცენტრის ტრენერი. ამასთან, კანდიდატი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარებისა და სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელოს თანაავტორს.

ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N1/207 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 21 დეკემბრის N1/237 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ბესარიონ ალავიძე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ბესარიონ ალავიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ბესარიონ ალავიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ბესარიონ ალავიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში		

	მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ბესარიონ ალავიძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>* კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ ბესარიონ ალავიძის პირად და პროფესიულ თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, გულწრფელი, პრინციპული და პიროვნული თვისებებითა და პროფესიული სინდისით სრულად შეესაბამება მოსამართლის თანამდებობას. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელი</u>* ბესარიონ ალავიძეს გამოკითხული რეკომენდატორები ახასიათებენ როგორც გულწრფელ, გულისხმიერ, დამოუკიდებელ, ობიექტურ, მიუკერძოებელ და მიუმხრობელ პიროვნებას. ამასთან, უთითებენ, რომ მას აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და თავისუფალია წინასწარი განწყობებისა და დამოკიდებულებისაგან. რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო

	მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელი</u>* ბესარიონ ალავიძე საჯარო მოსმენაზე ზოგად, თუ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას საკუთარ პოზიციას გამოხატავდა კორექტულად და მშვიდად. გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის თავდაჭერილი, გაწონასწორებული, კოლეგიალური და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძე იცავდა სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას იყო კორექტული და გამოირჩეოდა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აღსანიშნავია, რომ ბესარიონ ალავიძის წინააღმდეგ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. რას შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობის საკითხს, კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა ადმინისტრაციულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელი</u>* ბესარიონ ალავიძის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ძირითადად იძებნება

	მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით გავრცელებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელი</u>* მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბესარიონ ალავიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ბესარიონ ალავიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ

	კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის მახასიათებელი</u>* იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 12 ნოემბერს ბესარიონ ალავიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.2 მოსმენაზე კანდიდატი იყო თავდაჯერებული, კორექტული და გაწონასწორებული. სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას იგი ღიად, თავისუფლად გამოხატავდა საკუთარ შეხედულებებს და საინტერესოდ აანალიზებდა პრობლემურ და აქტუალურ საკითხებს. დასმული შეკითხვების რელევანტურად, სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატი მიმოიხილავდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ძირითადად სწორად განმარტავდა სამართლებრივ ნორმებს. თუმცა მას გაუჭირდა ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ამასთან, დასმული შეკითხვების ირგვლივ ბესარიონ ალავიძის მიერ განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა რიგ შემთხვევებში იყო ზოგადი და სრულად არ პასუხობდა დასმულ შეკითხვებს. ამასთან, ბესარიონ ალავიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს აქვს სამართლებრივი ნორმების მიზნის, ფუნქციისა და შინაარსის სწორად აღქმისა და მათი მართებულად მისადაგების უნარი. ამასთან, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით,

[2] იხ. ბესარიონ ალავიძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=nbxZ_9MiF9Y

	სამართლებრივი მსჯელობა განვითარებულია ლოგიკურად და არგუმენტირებულად. რეკომენდატორების მოსაზრებით, კანდიდატი სიღრმისეულად იცნობს სამართლის ნორმებს. ამასთან, იგი მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ეცნობა სხვადასხვა სახის სამართლებრივ ლიტერატურას, ნაშრომებს, კვლევებსა და კომენტარებს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). <u>*სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნარის მახასიათებელი*</u> კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი იყო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. ბესარიონ ალავიძის წერის უნართან დაკავშირებით კი მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კანდიდატი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კერძოდ, ბესარიონ ალავიძე მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული, ნათელი და არაორაზროვანი, რის საფუძველზეც მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა ერთგვარად მიჰყვეს იმ დასაბუთების განვითარების ბმას, რამაც განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. იგი მომზადებულია ნათელი და მკითხველისთვის გასაგები ენით. ამასთან, გამოირჩევა დასაბუთებულობითა და გრამატიკული და სტილისტიკური გამართულობით. საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატის მიერ მოყვანილი არგუმენტები და მსჯელობა ძირითადად იყო დამაჯერებელი. გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს

	ანალიტიკური აზროვნების უნარი, ამასთან, მისი დასაბუთება როგორც ზეპირი მსჯელობისას, ისე გადაწყვეტილების მომზადების დროს არის გასაგები და ცხადი. *<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი</u>* ბესარიონ ალავიძე საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას გამოირჩეოდა გამართული მეტყველებითა და აზრის ღიად და თავისუფლად გადმოცემის უნარით. იგი საუბრობდა მშვიდად, გაწონასწორებულად და აზრს ძირითადად აყალიბებდა ნათლად და თანმიმდევრულად. ამასთან, გამოირჩეოდა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარს აფასებენ დადებითად და უთითებენ, რომ იგი საკუთარ პოზიციას გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, ამასთან, აქვს მიმღებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. *<u>პროფესიულ თვისებები, მათ შორის, სასამართლო დარგაზში ქცევის მახასიათებელი</u>* კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან - 2020 წლის 1 იანვრის პერიოდში ბესარიონ ალავიძის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 872. საერთო ჯამში, თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 956 დღეში დასრულებული აქვს 1181 საქმე. რაც ცხადყოფს, რომ ბესარიონ ალავიძე არის პროდუქტიული, სწრაფი, შრომისმოყვარე, იგი კარგად ახდენდა საქმეთა ნაკადის მართვას და სასამართლო სხდომებს წარმართავდა სათანადოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები აღნიშნავენ, რომ ბესარიონ ალავიძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და პუნქტუალურობით, აგრეთვე, გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

	<u>აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის მახასიათებელი</u> ბესარიონ ალავიძე არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. აგრეთვე, ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. კანდიდატის დახასიათებისას ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ იგი მუდმივად ზრუნავს ცოდნის გაღრმავებაზე. ამასთან, აქტიურად მონაწილეობს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაში და სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის კოლეგებს სთავაზობს საკუთარ არგუმენტირებულ მოსაზრებებს ცალკეულ პრობლემატურ საკითხებზე. ბესარიონ ალავიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. კერძოდ, მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის არის სპეციალური სალექციო კურსის თანაავტორი და სამართლისა და მართლმსაჯულების ტრენინგ ცენტრის ტრენერი. ასევე, კანდიდატი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარებისა და სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელოს თანაავტორს. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ბესარიონ ალავიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 90 ქულა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 30/11-2021